საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №215/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 21 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის №215/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ გააჭიანურა საქმის განხილვა და მიიღო უკანონო განჩინება, რომელიც მხარეს ჩააბარა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 7 თებერვალს, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების -- -- -- -- №-- ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

2017 წლის 23 თებერვალს, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხარვეზის შევსების თაობაზე განცხადებით მიმართა -- -- და -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით -- -- სასარჩელო განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში.

2017 წლის 12 ივნისს, -- -- დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა - საქართველოს შეიარაღებული ძალების -- -- -- -- №-- და 2017 წლის 8 მაისის -- -- ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივნისის განჩინებით -- -- დაზუსტებული სასარჩელო განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 დეკემბრის განჩინებით -- -- სარჩელზე, 2017 წლის 11 იანვრის -- -- ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება. აღნიშნული განჩინება გასაჩივრებული იქნა მოსარჩელე -- -- მიერ.

2017 წლის 14 დეკემბერს, -- -- დაზუსტებული განცხადებით კვლავ მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან -- -- დევნა-შევიწროების ანუ დისკრიმინაციის ფაქტის აღიარება.

-- -- სამართლობს 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით -- -- სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი, რომლის შესავსებად განესაზღვრა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადა. აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2018 წლის 4 იანვარს.

2018 წლის 8 იანვარს, -- -- დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების -- -- -- -- №-- ბრძანებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების -- -- 2017 წლის 8 მაისის -- -- ბრძანების ბათილად ცნობა; მოსარჩელე - -- -- განთავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა; 2017 წლის 11 იანვრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე განაცდურის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან -- -- დევნა-შევიწროების, ანუ დისკრიმინაციის ფაქტის აღიარება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 იანვრის განჩინებით -- -- დაზუსტებული სასარჩელო განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 05 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 აპრილის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 დეკემბრის განჩინება.

2018 წლის 30 აგვისტოს, -- -- დაზუსტებული განცხადებებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის 31 ივლისის №-- -- აქტის ბათილად ცნობა; მოსარჩელე - -- -- შეურაცხყოფისა და მუქარის ფაქტის დევნა-შევიწროებად აღიარება; მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქართველოს მთავრობის №-- დადგენილების შესრულების დავალდებულება და -- -- იარაღით დაჯილდოება.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, -- -- სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი, რომლის შესავსებად მოსარჩელეს განესაზღვრა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადა.

2018 წლის 28 სექტემბერს, -- -- დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანების; საქართველოს შეიარაღებული ძალების -- -- 2017 წლის 8 მაისის №-- ბრძანების ბათილად ცნობა; მოსარჩელე - -- -- განთავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა; 2017 წლის 11 იანვრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე განაცდურის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის 31 ივლისის №-- აქტის ბათილად ცნობა მისი გამოცემის მომენტიდან;

საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქართველოს მთავრობის №-- დადგენილების შესაბამისად -- -- იარაღით დაჯილდოების დავალდებულება; მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან -- -- მიმართ სისტემური და განგრძობადი ხასიათის დევნა-შევიწროების, ანუ დისკრიმინაციის ფაქტის აღიარება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით -- -- დაზუსტებული სასარჩელო განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში.

2018 წლის 17 ოქტომბერს, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა მოსარჩელე - -- -- და მოითხოვა სახელმწიფო ხარჯზე ადვოკატის დანიშვნა. განმცხადებელმა მოთხოვნის საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ საკუთარი შესაძლებლობებით არ შეუძლია სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატის აყვანა.

2018 წლის 26 ნოემბერს, სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს მიმართ დააყენა აცილების შუამდგომლობა, რის მოტივად მიუთითა ის გარემოება, რომ 2017 წლის 7 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე, შეილახა მისი უფლებები, ვინაიდან სასამართლომ, 2017 წლის 11 იანვრის -- -- ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელზე შეწყვიტა საქმის წარმოება, რომელიც -- სააპელაციო სასამართლომ დატოვა უცვლელი.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის განჩინებით ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე №-- (მოსარჩელე - -- --, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით) მიღებულ იქნა აცილების შესახებ გადაწყვეტილება; ადმინისტრაციული სამართლის საქმე №-- გადაეცა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს.

2.2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. სასამართლოდან მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, -- -- 2018 წელს განსახილველად ჰქონდა 338 სააპელაციო საჩივარი, დაასრულა 210 (62.13%), 108 კერძო საჩივარი, საიდანაც დაასრულა 95 (87.9%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 21 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) და „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური

გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ ამავე ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- -- -- სასამართლოს 2017 წლის 07 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2018 წლის 16 იანვარს. ადმინისტრაციული საქმე -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 25 იანვარს და მოსამართლეს გადაეცა 27 იანვარს. დადგენილია, რომ კერძო საჩივარზე განჩინება მოსამართლემ გამოიტანა 2018 წლის 12 აპრილს. ამდენად, მოცემულ საქმეზე კერძო საჩივრის განხილვისათვის კანონით დადგენილი 2 თვიანი ვადა არ დარღვეულა, თუმცა განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მხარეს ჩაბარდა მისი მიღებიდან 2 თვისა და 6 დღის შემდეგ (განჩინება კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა 2018 წლის 19 ივნისს), რაც არ წარმოადგენს ისეთ ვადას, რომლისთვისაც მიზანშეწონილად შეიძლება იქნეს მიჩნეული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა.

ამდენად, სტატისტიკური მონაცემების, მოსამართლის დატვირთულებისა და მხარეთა მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №215/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი